სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად **რექტორის 2017 წლის 24 ივლისის** ბრძანება **№142/01–01**-ის საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრაზე **გამოყენებითი ინფორმატიკა** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2017 წლის 4 სექტემბრის** დადგენილება **№96/2017**-ის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი N1

ქ. თბილისი „15" სექტემბერი, 2017 წ.
12:00

სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 3 წევრი: 1. გია სირბილაძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. მანანა ხაჩიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ირინა ხუციშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრაზე **გამოყენებითი ინფორმატიკა** ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის პროფესორ გია სირბილაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ კონკურსანტმა I კატეგორიაში: „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს". II კატეგორიაში: „პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან" წარმოდგენილი 1 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო კურსი ამჟამად იკითხება კონკურსანტის მიერ, წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, მის მიერ II კატეგორიაში მიღებულია უმაღლესი შეფასება. III კატეგორიაში: „სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა", მის მიერ წარმოდგენილია 8 გამოქვეყნებული პუბლიკაცია. აქედან, 2 არის იმპაქტ-ფატორის მქონე ჟურნალებში. ბოლო 6 წლის განმავლობაში მან მონაწილეობა მიიღო სამ საგრანტო პროექტში და გააკეთა მოხსენება 7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. კონკურსანტის სამოტივაციო წერილი სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის მაღალი. IV კატეგორიაში მის მიერ არ იყო წარმოდგენილი არავითარი მასალა. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის დაბალი.

გასაუბრების ეტაპზე პრეტენდენტს დაესვა სხვადასხვა კითხვები, მათ შორის მისი მომავალი საქმიანობის შესახებ. ბიძინა მაცაბერიძემ განაცხადა რომ მას უნივერსიტეტში მოღვაწეობის პერსპექტივაში შემგეგი გეგმები გააჩნია: განავითარებს ახალ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას; აქტიურად იმუშავებს პერსპექტიულ მაგისტრანტებთან; მოამზადებს ახალი

არჩევითი საგნის „მანქანური სწავლება“ სილაბუსს და ლექციათა კურსს ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა შესაბამისობაშია კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრაზე გამოყენებითი ინფორმატიკა არსებულ ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიასთან.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტზე, კათედრაზე **გამოყენებითი ინფორმატიკა** ასისტენტ-პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში პირველი და მეორე ეტაპის შეჯამებით და ფარული კენჭისყრის შედეგის მიხედვით (3 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) გამარჯვებულებად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ზიძინა მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი.

მოისმინეს:

კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინეს:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. / გია სირბილაძე /

კომისიის წევრები:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / მანანა ხაჩიძე /

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. / ირინა ხუციშვილი /